

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



კვლევითი საქმიანობის განვითარების
სტრატეგიული გეგმა
(2020-2024 წწ.)

“დამტკიცებულია”

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის

სენატის მიერ

გადაწყვეტილება № 7/4 “24”/ 04/ 2020 წ.

რექტორი, პროფესორი

მარიამ ბერიძე



ბათუმი 2020

1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში ჩამოყალიბებულია ის ძირითადი მიზნები და ამოცანები, რომლის მიღწევა საჭიროა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში კვლევითი საქმიანობის წახალისების, ხელშეწყობისა და განვითარებისათვის უახლოესი 5 წლის (2020-2024 წწ) პერსპექტივაში.

საზღვაო აკადემია, როგორც სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის მატარებელი დარგობრივი უმაღლესი სასწავლებელი ახორციელებს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს. მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებულია კვლევითი კომპონენტის შესრულება სამაგისტრო ნაშრომის მომზადების სახით. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები კვალიფიკაციის მოპოვებისათვის არ ითვალისწინებს კვლევითი კომპონენტის შესრულებას და მთლიანად არის ორიენტირებული დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი პროფესიული ცოდნისა და უნარ ჩვევების განვითარებაზე.

გარდა ამისა, კვლევითი საქმიანობა ასევე ხორციელდება აკადემიურ დეპარტამენტებში აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური ან ჯგუფური აქტივობის ხარჯზე, რომელიც განპირობებულია ცალკეული მკვლევარის პიროვნული სამეცნიერო ინტერესებით და ინიციატივით.

საზღვაო აკადემიის სამი ფაკულტეტი ახორციელებს ბაკალავრიატის შვიდ და მაგისტრატურის ოთხ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო პროფესიული მომზადების ცენტრი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. გარდა ამისა, საზღვაო აკადემიაში ფუნქციონირებს მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრი (STCC), რომელიც შეიმუშავებს და ორგანიზებას უწევს მეზღვაურთა მომზადება/გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მოკლევადიან ტრენინგ-კურსებს. STCC ცენტრის საქმიანობა შეიძლება ჩაითვალოს, როგორც უწყვეტი განათლების სისტემის შემადგენელი ნაწილი.

2019-2020 სასწავლო წელს ბაკალავრიატის საფეხურზე ირიცხებოდა

სტუდენტთა კონტინგენის (სულ 2332+68=2400 სტუდენტი) 97%, ხოლო მაგისტრატურაზე მხოლოდ 3%. საგანმანათლებლო პროცესს წარმართავს 72 აკადემიური და 98 მოწვეული პერსონალი, აქედან:

- 13 პროფესორი;
- 41 ასოცირებული პროფესორი;
- 6 ასისტენტ პროფესორი
- 12 ასისტენტი და
- 19 აკადემიური დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული მასწავლებელი.

კვლევითი საქმიანობის განვითარების ვალდებულება ასახულია საზღვაო აკადემიის განახლებულ მისიაში და განვითარების 7-წლიან (2018-2024 წწ) სტრატეგიულ გეგმაში, სადაც საზღვაო აკადემიამ მიზნად დაისახა კვლევითი საქმიანობის მნიშვნელოვანი გაძლიერება, რასაც შედეგად უნდა მოყვეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება.

წინამდებარე გეგმა მოამზადა რექტორის მოადგილემ სასწავლო-სამეცნიერო დარგში.

წინამდებარე გეგმას ამტკიცებს საზღვაო აკადემიის სენატი რექტორის მოადგილის წარდგინებით.

კვლევითი საქმიანობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერასა და საერთო ზედამხედველობას განახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველო.

2. ხედვა, მისია, ღირებულებები

2.1. ხედვა

ჩვენ ვესწრაფვით გადავაქციოთ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია შავი და კასპიის ზღვის რეგიონის წამყვან საგანმანათლებლო ცენტრად საზღვაო და მომიჯნავე დარგებში¹.

ჩვენი ღირებულება: ღირსება, ცოდნა, გამოცდილება (Honor, Disciplina, Experientia)

2.2. მისია

საზღვაო აკადემიის მისიაა:

- შეასრულოს საზღვაო და მომიჯნავე დარგებში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების, კვლევების განხორციელების და ცოდნის საზოგადოებაში გავრცელების საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქცია;
- უზრუნველყოს დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, გუნდში მუშაობის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და კვლევის უნარებით აღჭურვილი პასუხისმგებელიანი სპეციალისტებისა და ლიდერების მომზადება თანამედროვე სტანდარტების პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და უწყვეტი განათლების საწვრთნელი კურსების საფუძველზე;
- იხელმძღვანელოს დემოკრატიისა და ჰუმანიზმის, გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის, ტოლერანტობისა და თანასწორობის პრინციპებით და უზრუნველყოს სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება;
- გაზარდოს საკუთარი სასწავლო და კვლევითი პოტენციალი საქართველოსა და უცხოეთის საგანმანათლებლო და დამსაქმებელ ინსტიტუციებთან თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების გზით;

¹ მომიჯნავე დარგებში იგულისხმება საზღვაო ტრანსპორტის, საზღვაო ტურიზმის, საზღვაო ინდუსტრიის სხვა დარგების, ლოჯისტიკისა და ინჟინერიის ექსპლუატაციასთან და მართვასთან დაკავშირებული კვალიფიკაციები.

2.3. ღირებულებები კვლევით საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით

აკადემიური თავისუფლება: საზღვაო აკადემიაში მოქმედი ნორმების ფარგლებში ჩვენ პატივს ვცემთ აკადემიასთან აფილირებული ყველა მკვლევარის უფლებას ავტონომიურად განსაზღვროს კვლევის ინტერესები, საკუთარი შეხედულებების შესაბამისად შეარჩიოს და კვლევით პროცესში მიიწვიოს შესაბამისი პერსონალი და სტუდენტები და გამოიყენოს კვლევის განხორციელების მისთვის მისაღები მეთოდები;

ხარისხი: ჩვენ ვცდილობთ ვუზრუნველყოთ ჩვენს მიერ წარმოებული კვლევების მაქსიმალურად მაღალი ხარისხი დარგის თანამედროვე ცოდნაზე და მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული კვლევების განხორციელების გზით, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სხვა მკვლევარების მიერ მიღწეული მეცნიერული შედეგების აღიარებისა და პატივისცემის პრინციპების დაცვით;

თანამშრომლობა: ჩვენი კვლევითი საქმიანობა ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე სტუდენტებისა და დარგის განვითარებაში დაინტერესებული პარტნიორი ინსტიტუციების აქტიური ჩართულობით. საზღვაო აკადემია ღიაა სათანამშრომლოდ საზღვაო დარგში მოღვაწე სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან; პარტნიორ საგანმანათლებლო და კვლევით ინსტიტუციებთან; საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან მაღალი ხარისხისა და სანდოობის მქონე მეცნიერული კვლევებით საზღვაო და მომიჯნავე დარგებში;

უწყვეტი განვითარება: ჩვენ სისტემატურად ვითვალისწინებთ საქართველოს საზღვაო სექტორში მოღვაწე სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების, პარტნიორი საგანმანათლებლო და კვლევითი ინსტიტუციების, დარგში მოღვაწე აღიარებული მკვლევარების და დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლების შემოთავაზებებს პრიორიტეტული და აქტუალური კვლევების დაგეგმვისა და მაღალ აკადემიურ დონეზე განხორციელების პროცესში.

3. კვლევითი საქმიანობის პოლიტიკა

კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში საზღვაო აკადემია იხელმძღვანელებს შემდეგი ფუნდამენტური პრინციპებით:

- 3.1. შექმნის საზღვაო აკადემიაში კვლევითი საქმიანობის განხორციელების აკადემიური და მატერიალური მხარდაჭერის გარემოს;
- 3.2. უზრუნველყოფს კვლევითი კომპონენტის იმპლემენტაციას სტუდენტთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებში და სასწავლო კურსებში;
- 3.3. შექმნის საკვლევო პროექტების შეფასებისა და დაფინანსების მოქნილ მექანიზმებს;
- 3.4. განსაზღვრავს კვლევითი აქტივობის ძირითად მიმართულებებს;
- 3.5. უზრუნველყოფს კვლევის აკადემიურ თავისუფლებას;
- 3.6. შეუქმნის კვლევაში მონაწილე პერსონალს კვლევის განხორციელებისათვის საჭირო პირობებს საზღვაო აკადემიის ხელთ არსებული ყველა რესურსის გამოყენებით;
- 3.7. იზრუნებს კვლევის შედეგების გამოქვეყნებაზე, გავრცელებასა და ხელმისაწვდომობაზე;
- 3.8. ითანამშრომლებს პარტნიორ ეროვნულ და უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებთან, საერთაშორისო, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან კვლევების ინიცირების, დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების დანერგვის ეტაპებზე;
- 3.9. ხელს შეუწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ჩართულობას კვლევით აქტივობებში;
- 3.10. მკაცრად დაიცავს აკადემიური პატიოსნების პრინციპებს კვლევების განხორციელებისა და შედეგების გამოქვეყნების პროცესში;
- 3.11. წახალისებს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს წარმატებული კვლევების განხორციელებისათვის;

- 3.12. უპირატესობას მიენიჭებს კვლევით პროექტებს, რომელიც ფოკუსირებულია საზღვაო და მომიჯნავე სფეროს საჭიროების კვლევებზე, საგანმანათლებლო პოტენციალის ამაღლებაზე, ინოვაციების დანერგვაზე და გარემოს დაცვის პრობლემების შესწავლაზე;
- 3.13. უზრუნველყოფს ფინანსურად და მატერიალურად კონკურსის წესით შერჩეულ კვლევით პროექტებს;
- 3.14. გამოიყენებს კვლევებს აკადემიაში მიმდინარე საგანმანათლებლო აქტივობის - სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო პოტენციალის ხარისხის ასამაღლებლად;
- 3.15. შეასრულებს ახალი ცოდნის გენერატორის, ინფორმაციის გამავრცელებლის, დარგის ექსპერტის და კონსულტანტის ფუნქციებს საზღვაო და მომიჯნავე სფეროში;

4. კვლევითი საქმიანობის განვითარება საზღვაო აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმაში

მიზანი 3. სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის უნივერსიტეტად გარდაქმნის პროცესის დაწყება

ძირითადი ამოცანები:

1. შიდააკადემიური საგანმანათლებლო და საკვლევო პროექტების ინიცირება და მათი განხორციელებისათვის დაფინანსების წყაროების მოძიება;
2. საერთაშორისო, ეროვნულ და შიდააკადემიურ საკვლევო პროექტებში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობის წახალისება;
3. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დანერგვისა და განხორციელებისთვის საჭირო კარგი პრაქტიკის იდენტიფიცირება და სამართლებრივი საფუძვლების შექმნა;
4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებებისა და

იდების დამუშავება და ამ მიმართულებით ქართულ და ევროპულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის განვითარება.

შესრულების მაჩვენებლები:

- ბიუჯეტში კვლევისთვის გათვალისწინებული რესურსების არსებობა;
- საგრანტო და კვლევით პროექტებში მონაწილეობა;
- პლაგიატის შემთხვევების პრევენციის, გამოვლენის, აღმოფხვრის და აკადემიური კეთილსინდისიერების ხელშემწყობი მექანიზმების არსებობა;
- საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებში ჩართულობა;
- კვლევითი საქმიანობის წახალისების სისტემის არსებობა;
- კვლევით საქმიანობაში ჩართული სტუდენტების რაოდენობის დადებითი დინამიკა;
- დაფინანსებული საკვლევი პროექტების რაოდენობის დადებითი დინამიკა;
- რეფერირებად გამოცემებში აკადემიის პერსონალის გამოქვეყნების რაოდენობის დადებითი დინამიკა;
- საზღვაო აკადემიის ადგილი უმაღლეს სასწავლებლების რეიტინგებში;

5. კვლევითი საქმიანობის პრიორიტეტები

კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა ხორციელდება საზღვაო აკადემიის მისიიდან და საგანმანათლებლო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საზღვაო და სატრანსპორტო ინდუსტრიის თანამედროვე პრობლემებისა და საზღვაო აკადემიის კვლევითი პოტენციალის შეფასების საფუძველზე.

საზღვაო აკადემიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კვლევითი პროექტების შერჩევისას პრიორიტეტული იქნება შემდეგი მიმართულებები:

5.1. საზღვაო ტრანსპორტის უსაფრთხო და ეკონომიური ფუნქციონირების პრობლემები;

5.2. ინოვაციური და გარემოს არადამაზიანებელი

ტექნოლოგიების განვითარება სატრანსპორტო გადაზიდვებში, ინჟინერიაში, ბიზნესსა და სწავლებაში;

- 5.3. ტრანსპორტირებისა და გადაზიდვების ლოჯისტიკური პრობლემები;
- 5.4. ზღვისა და სანაპირო ზოლის გარემოს დაცვა და ეკოლოგიური პრობლემები;
- 5.5. ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკის საზღვაო სექტორის განვითარების პრობლემები.

პარტნიორი უნივერსიტეტების მხრიდან საკვლევ პროექტებში მიწვევის შემთხვევაში საზღვაო აკადემია ჩაებმება მხოლოდ იმ კვლევებში, რომლის განხორციელების ინტელექტუალური და მატერიალური შესაძლებლობა გააჩნია აკადემიას.

იგივე მიდგომა სამართლიანია საერთაშორისო საგრანტო პროექტების შემოთავაზების შემთხვევაში.

6. სამიზნე ჯგუფები და სტეიკჰოლდერები

- 6.1. საზღვაო აკადემიის აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- 6.2. კვლევით დაინტერესებული სტუდენტები და კურსდამთავრებულები;
- 6.3. საზღვაო ტრანსპორტის მართვისა და რეგულირების სფეროში ჩართული სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები;
- 6.4. სატრანსპორტო გადამზიდი და ლოჯისტიკური დაწესებულებები;
- 6.5. საკურორტო და ტურიზმის ბიზნესში ჩართული ორგანიზაციები;
- 6.6. გარე პარტნიორები (სახელმწიფო და კერძო სექტორიდან);
- 6.7. საზოგადოების სხვა დაინტერესებული პირები.

7. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
90-წლიანი ისტორია, ტრადიციები და მაღალი რეპუტაცია საზოგადოებაში	რეგიონში მოქმედი დამსაქმებელი ორგანიზაციების არასაკმარისი დაინტერესება კვლევებით
თანამედროვე დარგობრივი ცოდნით აღჭურვილი, ახალგაზრდა, განვითარებაზე ორიენტირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი	ხარისხიანი კვლევების ჩასატარებლად არასაკმარისი ფინანსური და კომპეტენტური ადამიანური რესურსები
თანამედროვე ტრენაჟერებითა და სასწავლო რესურსებით აღჭურვილი ლაბორატორიები	სამთავრობო დაწესებულებებისა და საზოგადოების არასაკმარისი ინფორმირებულობა საზღვაო აკადემიის კვლევითი შესაძლებლობების შესახებ
ახლომდებარეობა მსხვილ დამსაქმებლებთან, როგორცაა ბათუმის, ფოთისა და ყულევის პორტები, სუფსის ტერმინალი, შავი ზღვის სანაპიროს ტურისტული ინფრასტრუქტურა	საზღვაო დარგში წარმოებული კვლევების შესახებ ბეჭდური და ელექტრონული ინფორმაციის (საბლიოთეკო ბაზა) არასაკმარისობა
საზღვაო აკადემიის ადმინისტრაციის მზაობა განავითაროს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	საზღვაო აკადემიის აკადემიური პერსონალის დაბალი კვლევითი აქტივობა
საქართველოს საზღვაო განათლების მარეგულირებელი სტრუქტურები დაინტერესებულნი არიან საზღვაო აკადემიის კვლევითი პოტენციალის ამაღლებით	აკადემიურ დეპარტამენტებს არ აქვთ ჩამოყალიბებული კვლევების პრიორიტეტები და ძირითადი მიმართულებები
	საზღვაო აკადემიაში არ არის ჩამოყალიბებული კვლევითი პროექტების ინიცირების, შეფასებისა და მხარდაჭერის სისტემა;
	არ არის ჩამოყალიბებული კვლევების ხარისხის შეფასებისა და წარმატებულ მკვლევართა დაჯილდოების გამართული პროცედურები;

საფრთხეები	შესაძლებლობები
------------	----------------

საზღვაო აკადემიის პასიურობამ საზღვაო დარგში კვლევითი აქტივობის განვითარების მიმართულებით შეიძლება გამოიწვიოს ამ სექტორის დაკავება სხვა დაწესებულებების მიერ	საქართველოს საზღვაო ინფრასტრუქტურის სწრაფი განვითარების უზრუნველყოფა მოითხოვს შესაბამისი სანდო და საფუძვლიანი კვლევების განხორციელებას
კვლევითი პროექტების არასაკმარისმა ფინანსურმა მხარდაჭერამ შეიძლება გამოიწვიოს კომპეტენტური კადრების გადინება საზღვაო აკადემიიდან	კვლევების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და შესაბამისი საკვლევო პროექტების მომზადება მიზანშეწონილია რეგიონში მოქმედი სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან თანამშრომლობითა და მათი საჭიროებების გათვალისწინებით
აკადემიური პერსონალის კვლევითი უნარების განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების სიმცირემ შეიძლება გამოიწვიოს პერსონალის კვალიფიკაციისა და კვლევითი აქტივობის მნიშვნელოვანი დაქვეითება	კვლევითი საქმიანობის განვითარება მკვეთრად გაუმჯობესებს საგანმანათლებლო პროცესს, გაზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს და ხელს შეუწყობს ახალი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების შემუშავებას
	კვლევითი საქმიანობის გაძლიერება გაზრდის საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ცნობადობას საზღვაო აკადემიის მიმართ და გააუმჯობესებს აკადემიის მონაწილეობა საერთაშორისო საკვევ პროექტებში
	კვლევითი საქმიანობის გაძლიერება ხელს შეუწყობს კვლევების განმახორციელებელი, კომპეტენტური პერსონალისა და კვლევებისათვის ფინანსური რესურსების მოზიდვას
	სამეცნიერო კვლევითი ხასიათის ნაშრომების გამოქვეყნება და აკადემიის პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში აამაღლებს საზღვაო აკადემიის პრესტიჟსა და რეიტინგს საერთაშორისო საკლასიფიკაციო სისტემებში

8. კვლევითი საქმიანობის განვითარების მიზნები და ამოცანები

გამომდინარე მისიიდან და SWOT ანალიზიდან, კვლევითი საქმიანობის განვითარების მიმართულებით საზღვაო აკადემიის მიზანია:

მიზანი 1. კვლევების ინიცირების, დაგეგმვის, რესურსებით უზრუნველყოფის,

განხორციელებისა და შეფასების მექანიზმების განავითარება;

განსახორციელებელი ამოცანები:

- 1.1. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წახალისების, მოტივირებისა და მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება კვლევითი პროექტების მოსამზადებლად;
- 1.2. კვლევითი საქმიანობის ფინანსური, საინფორმაციო, მატერიალური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება;
- 1.3. კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა;
- 1.4. პერსპექტიული კვლევითი პროექტების/ნაშრომების მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება;
- 1.5. კვლევითი პროექტების საკონკურსო წესით შერჩევის პროცედურების და დაფინანსების შიდასაგრანტო სისტემის განვითარება;
- 1.6. კვლევითი ნაშრომების შესაფასებლად მუდმივმოქმედი სარედაქციო კომიტეტისა და გარე რეცენზირების სისტემის ჩამოყალიბება;
- 1.7. კვლევების განხორციელებაში ინდუსტრიისა და პარტნიორი დამსაქმებელი დაწესებულებების ფინანსური და ორგანიზაციული ჩართულობის მექანიზმების ამოქმედება;
- 1.8. კვლევების დასაფინანსებელი თანხების გამოყოფა აკადემიის წლიურ ბიუჯეტში;

მიზანი 2. კვლევით საქმიანობაში საერთაშორისო თანამშრომლობის და ინტერნაციონალიზაციის გააძლიერება, კვლევითი საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება;

განსახორციელებელი ამოცანები:

- 2.1. ერთობლივი კვლევითი პროექტების მომზადება და განხორციელება უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით;
- 2.2. საერთაშორისო საგრანტო ფონდების მიერ

გამოცხადებულ კვლევით პროექტებში მონაწილეობა;

- 2.3. კვლევითი საქმიანობისა და ნაშრომების შეფასებაში საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- 2.4. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების ორგანიზება და კვლევითი ნაშრომების ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე წარდგენის ხელშეწყობა;
- 2.5. საზღვაო აკადემიის რეიტინგის ამაღლება უმაღლესი სასწავლებლების საერთაშორისო კლასიფიკატორებში.

მიზანი 3. კვლევითი პროექტების განხორციელების მაღალი ხარისხი უზრუნველყოფა;

განსახორციელებელი ამოცანები:

- 3.1. კვლევითი საქმიანობის პოლიტიკის შემუშავება;
- 3.2. პლაგიატის დაძლევისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დამკვიდრების პოლიტიკის შემუშავება;
- 3.3. პლაგიატისა და აკადემიური თაღლითობის ცნობადობისა და მიუღებლობის შესახებ საინფორმაციო რესურსების მომზადება და სააგიტაციო კამპანიების ორგანიზება;
- 3.4. პლაგიატისა და აკადემიური თაღლითობის შემთხვევების პრევენციის, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების მექანიზმების განვითარება და ამოქმედება;
- 3.5. კვლევითი ნაშრომების ორიგინალობაზე შემოწმების, პლაგიატის გამორიცხვისა და აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფის სისტემის განვითარება;
- 3.6. კვლევითი საქმიანობის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული სადაო საკითხების ასახვა ეთიკის კოდექსში;
- 3.7. კვლევითი პროექტების შეფასების მექანიზმების განვითარება და დანერგვა;

მიზანი 4. საზღვაო

აკადემიის

ჩამოყალიბება

კვლევების

განმახორციელებელ ინსტიტუციად საზღვაო და მომიჯნავე სფეროში;

განსახორციელებელი ამოცანები:

- 4.1. კვლევების მთავარი მიმართულებების დადგენა კადემიურ დეპარტამენტებში;
- 4.2. აკადემიის ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა თანამედროვე ბეჭდური, ციფრული და on-line სამეცნიერო გამოცემებითა და ლიტერატურით;
- 4.3. კვლევის მეთოდების სწავლების უზრუნველყოფა ყველა დონის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაში;
- 4.4. აკადემიური პერსონალისათვის მიზნობრივი ტრენინგების ორგანიზება მათი კვლევითი პოტენციალის ამაღლების მიზნით;
- 4.5. სასწავლო კურსების შერჩევა, სადაც შესაძლებელია კვლევითი კომპონენტის გამოყოფა და მისი გათვალისწინება სტუდენტთა შეფასების პროცედურებში;
- 4.6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება და აკრედიტება;
- 4.7. შიდა აკადემიური სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება;
- 4.8. წარმატებული კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნების, გამოგონებების დაპატენტების, კვლევის შედეგების დანერგვისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობის მექანიზმების განვითარება;
- 4.9. კვლევითი ნაშრომების საკუთარი ელექტრონული საგამომცემლო პლათფორმის (ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის) შექმნა.

9. გეგმის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა

გეგმით დადგენილი მიზნებისა და ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის საზღვაო აკადემიის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყოველ წლიურად ბიუჯეტის 3-5%-ის გამოყოფა საკვლევო პროექტებისა და აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური კვლევითი აქტივობების დასაფინანსებლად.

კვლევითი აქტივობების დაფინანსების დეტალური სქემის ჩამოყალიბება ხორციელდება სამოქმედო გეგმებში, ყოველი სასწავლო წლის დაწყების წინ,

მოქმედი და დაგეგმილი კვლევითი პროექტებისა და აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

10. ხარისხის უზრუნველყოფა

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა მოიცავს იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რომლებიც უნდა განხორციელდეს უახლოესი 5 წლის განმავლობაში.

სტრატეგიული გეგმის საფუძველზე სამეცნიერო-კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობის სამმართველო აკადემიურ დეპარტამენტებთან თანამშრომლობით, სასწავლო წლის დაწყებამდე ამზადებს და სენატზე დასამტკიცებლად წარადგენს საზღვაო აკადემიაში კვლევითი საქმიანობის განხორციელების მოკლევადიან (ერთი აკადემიური წლის ხანგრძლივობით) სამოქმედო გეგმას, რომელშიც ასახული იქნება გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი, დაგეგმილი აქტივობების შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები.

ყოველი სასწავლო წლის განმავლობაში უნდა მომზადდეს გეგმის შესრულების ორი ანგარიში. კერძოდ, შეაღებური ანგარიში საშემოდგომო სემესტრის ბოლოს და წლიური გეგმის შესრულების ანგარიში სასწავლო წლის ბოლოს.

დაგეგმილი კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასებას განახორციელებს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, საშემოდგომო სემესტრის ბოლოს (იანვარ-თებერვალში) და სასწავლო წლის დასრულების შემდეგ (ივნის-ივლისში) წარმოდგენილი ანგარიშებისა და წინასწარ შედგენილი ჩეკლისტის გამოყენებით განახორციელებს გეგმის შესრულების შეფასებას, რომელიც წარედგინება განსახილველად აკადემიის სენატს. შუალედური ანგარიშის ანალიზის საფუძველზე სენატი მიიღებს გადაწყვეტილებას გეგმის გაგრძელების თაობაზე მასში ცვლილებების შეტანის გარეშე ან შეტანილი ცვლილებებით.

შეფასებას

დაექვემდებარება კვლევითი

საქმიანობის

განხორციელებასთან დაკავშირებული ისეთი ასპექტები, როგორცაა:

1. კვლევის დაგეგმვის პროცესი;
2. კვლევითი პროექტებისა და ინდივიდუალური კვლევების შესაბამისობა აკადემიის მისიასთან და პრიორიტეტებთან;
3. კვლევის უზრუნველყოფა (ფინანსური და მატერიალური რესურსები, ადამიანური რესურსები, კვლევის მეთოდოლოგია და სხვა);
4. კვლევის განხორციელების პროცესი (დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება, შესრულების ინდიკატორების მიღწევა და სხვა);
5. სტუდენტთა ჩართულობა;
6. კვლევის შედეგები (გამოქვეყნება, კონფერენციაზე წარდგენა, დაპატენტება, დანერგვა და სხვა);
7. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა;
8. კვლევის გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში;
9. გარე პარტნიორების ჩართულობა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხი;
10. იდენტიფიცირებულ ხარვეზებზე და შეუსაბამობებზე რეაგირება და სხვა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ იდენტიფიცირებული ხარვეზები და შეუსაბამობები გათვალისწინებულ იქნება ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებისას.